RMG Gold

RMG Gold LLC

034/13
26.04.2013

საქართველოს პრემიერ მინისტრს
ბატონ ბიძინა ივანიშვილს

14962
26 04 3
2

ბატონო პრემიერ მინისტრო,

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე თავს უფლებას მივცემთ მოგმართოთ პრობლემების თაობაზე, რომლებიც სამთამადნო კომპანია RMG Gold-ს შეექმნა.

2004 წელს საბადოს კონტურის ფარგლებში, გეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას, ნაპოვნი იქნა ძველი სამთო გამონამუშევრები (გვირაბები), რომელთაც 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის კატეგორია. ამასთან სრულიად იგნორირებული იქნა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობდა უკვე ლიცენზირებულ საბადოზე.

აღნიშნული გარემოება შეუძლებელს ხდის საყდრისის საბადოს ცალკეული ნაწილის დამუშავებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს საბადოს ეკონომიკურ მნიშვნელობას და სერიოზულ ფინანსურ ზიანს აყენებს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძეგლს და მის დაცვით ზონას კვეთენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რაც პრინციპში შეუსაბამოა ობიექტისათვის მინიჭებულ სტატუსთან.

ინჟინერ ექსპერტთა აზრით სამთო გამონამუშევრების პირვანდელი სახით შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც არაერთხელაა აღნიშნული თვით ეროვნული მუზეუმის ანგარიშებში.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში და არქეოლოგთა შორის ძეგლის ასაკის, მნიშვნელობასთან და სტატუსთან დაკავშირებით არ არის ცალსახა დამოკიდებულება, ჩვენ მაინც მხოლოდ საკითხის ეკონომიკურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი მომდევნო პერიოდში 7-8 წლის განმავლობაში 160 მლნ. დოლარს გადააჭარბებს, დასაქმდება 700-ზე მეტი ადამიანი (უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა), ხოლო საშუალო ხელფასი 1000 ლარს გადააჭარბებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასახარბიელოა მნიშვნელოვანი ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა. ამ სახით მისი არსებობა საშიშია სამთო გამონამუშევრების ჩამონგრევის და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების სერიოზული რისკის გამო.

თბილისი 0179, ე. ტატიშვილის ქ. 3/5; ტელ.: (+995 32) 2 47 45 45, ფაქსი: (+995 32) 2 91 38 61
3/5 E. Tatishvili str., 0179 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 32) 2 474545, Fax. (+995 32) 2 913861
საქართველო, ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი; ტელ.: 0 358 230 209
Bolnisi Region, Kazreti Settlement, Georgia. Tel.: (+995 358) 230 209
info@richmetalsgroup.com

ერთის მხრივ, კომპანიის მიზნების განხორციელების, და მეორეს მხრივ, ძეგლის გადარჩენა-შენარჩუნების ოპტიმალურ გზად გვესახება ძეგლის გადატანა ანალოგიურ და უსაფრთხო გარემოში, მისი შემდგომი რეკონსტრუქციით, არსებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით. ამას მოითხოვს თვით ძეგლის ინტერესიც, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩნდება მისაღები ექსპოზიციის მოწყობის რეალური შესაძლებლობა.

კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას თავისი სახსრებით განახორციელოს ძეგლის გადატანა იმგვარად, რომ არ დაკნინდეს მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობით, რის მიხედვითაც უძრავი ძეგლი მისი გადაადგილების შემდეგაც ინარჩუნებს ძეგლის სტატუსს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი წინადადება მისაღები იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის, რაც განმუხტავს შექმნილ დაძაბულ მდგომარეობას.

უმორჩილესად გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის უწყებებს აღნიშნული საკითხის დროულად განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

კომპანია RMG-ის სახელით:
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ ქუთელია____________________